



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

„შეთანხმებულია“:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

პროფ. ნ. ჩიხლაძე -----

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ი. გრძელიძე -----

ფაკულტეტის საბჭოსთან

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №13 (29.11.2019)

პროფ. დ. კორძია -----

„დამტკიცებულია“

თსუ აკადემიურ საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება #

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სადოქტორო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია Public Health and Epidemiology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი (PhD in Public Health)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სასწავლო კომპონენტი - 60 ECTS კრედიტი, მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები: 40 ECTS კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი.  სწავლის ხანგრძლივობა 6 სემესტრი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელებ ი /კოორდინატორი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი პაატა იმნაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა: დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, ვეტერინარიის მაგისტრის ხარისხი; უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე და გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სადოქტორო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ ეყრდობა თსუ მისიას და მიზნებს და თავის მხრივ მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ: ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირების გზით საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში კვლევების ჩატარებას და სწავლების უზრუნველყოფას, აქტუალური საკითხების თეორიულ და



	<p>პრაქტიკულ კვლევას მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით; ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით, რაც საფუძვლად დაედება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.</p>
<b>სწავლის შედეგები</b>	
ცოდნა და გაცნობიერება	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ:</p> <p>კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"><li>• აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;</li><li>• ავლენს საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახალი კვლევითი და ანალიტიკური თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების შესახებ ცოდნას;</li><li>• შუძლია არსებული ცოდნის გაფართოებისა და ასევე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;</li><li>• ავლენს საზოგადოებრივი ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების ცოდნას.</li></ul>
უნარები	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ:</p> <p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"><li>• გეგმავს და ატარებს კვლევას საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში აკადემიური კეთილსინდისიერების</li></ul>



	<p>პრინციპების დაცვით;</p> <ul style="list-style-type: none"><li>• კრიტიკულად ანალიზებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს;</li><li>• აფასებს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს და დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად;</li><li>• შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამართულ დისკუსიებში როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში არსებულ ან ახალ ცოდნასთან ურთიერთკავშირში.</li></ul>
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ:</p> <p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"><li>• დამოუკიდებლად ატარებს საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევას ინოვაციურობის დემონსტრირებით აკადემიური კეთილსინდისიერების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეთიკის პრინციპების დაცვით.</li></ul>
სწავლების მეთოდები	<ul style="list-style-type: none"><li>• ლექცია, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია, სემინარები, დისკუსია, დებატები, შეხვედრები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სილაბუსებით გათვალისწინებული სხვა მეთოდები. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე.</li></ul>



<p>სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი</p>	<p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;          (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;          (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;          (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;          (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ დასაქმდნენ სახელმწიფო ან კერძო სექტორში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის საკითხებზე ფოკუსირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, კვლევით ორგანიზაციებში, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.</p>
<p>სწავლის საფასური ქართველი სტუდენტებისათვის</p>	<p>2250 ლარი</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური</p>	<p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ თსუ 5 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პედაგოგი,</p>



<p>რესურსი</p>	<p>მათ შორის: თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის 3 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი, ასევე 3 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 1 მოწვეული დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან (საქართველო) და 1 მოწვეული პროფესორი ლუნდის უნივერსიტეტიდან (შვედეთი). სამეცნიერო კვლევების ბაზას წარმოადგენს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის წამყვანი დაწესებულებაა, რომელიც ფლობს უნიკალურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>პროგრამის შინაარსობრივი და რესურსებით უზრუნველყოფის განახლებას ხელს უწყობს მიმდინარე საერთაშორისო პროექტები: (DIKU-ს (ნორვეგია) დაფინანსებით პროექტი: Georgian-Norwegian Collaborative in Public Health; NIH (აშშ) დაფინანსებით 2 პროექტი: ICREATE: Injury Capacity in Research in EAsTern Europe და INITIatE - International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe და ევროკავშირის დაფინანსებით Erasmus + პროექტი: „Doctoral Programmes in Public Health and Social Science (DPPHSS)“.</p>

<p>კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი</p>	<p>სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს დოქტორანტის სამეცნიერო -კლინიკური, თეორიული და/ან ექსპერიმენტული</p>
--	---



	<p>კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ხასიათდებოდეს მეცნიერული სიახლით, ქმნიდეს ახალ ცოდნას და წვლილი შეჰქონდეს მედიცინის დარგის განვითარებაში.</p> <p>დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (ავტორეფერატი) 20 – 40 გვერდის მოცულობით, წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს.</p> <p>სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წარდგენით.</p> <p>ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის შესაბამისად (იხ. თსუ მედიცინის ფაკულტეტი სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია).</p>
<b>დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა</b>	<p>შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები;</p> <p>საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება:</p> <p>სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.</p> <p>ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული</p>



	<p>ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში - დოქტორანტის პირველი ავტორობით, ამასთანავე:</p> <p>ა. Scopus -ში ინდექსირებულ ჟურნალს Scimago Lab –ის (scimagosjr) მიერ მინიჭებული უნდა ჰქონდეს Q1 ან Q2 კატეგორია (Quartile).</p> <p>ბ. Web of Science -ის ბაზის ჟურნალში გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად მიღებული) სტატიის შემთხვევაში, ჟურნალს უნდა ჰქონდეს მინიჭებული Clarivate Analitics-ის იმპაქტ-ფაქტორი. რეცენზენტის დასკვნა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ.</p>
<b>სადისერტაციო ნაშრომის წარდგინება და დაცვა</b>	<p>დოქტორანტი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) 4 ბეჭდურ და 5 ელექტრონულ ვერსიას;</p> <p>სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:</p> <p>ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №6)</p> <p>ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №7 );</p> <p>გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული ავტორეფერატი - ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).</p> <p>დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (იხ.</p>





	<p>დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დანართი №8);</p> <p>ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;</p> <p>ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;</p> <p>ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;</p>
<b>დისერტაციის დაცვა</b>	<p>დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.</p> <p>დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს ადაწვევტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p> <p>დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).</p> <p>იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი. შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავენ</p>



	მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
--	--

### სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: მედიცინის

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია

სწავლების საფეხური: სადოქტორო

კრედიტების რაოდენობა: 180 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა იმნაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

**პროგრამის სტრუქტურა**



№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსზე დამუშავების წინაპირობა	ECTS კრედიტი საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების რაოდენობა						ლექტორი / ლექტორები
				I წელი		II წელი		III წელი		
				I	II	III	IV	V	VI	
				სემესტრი						
				I	II	III	IV	V	VI	
		<b>სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (სულ 40 ECTS კრედიტი)</b>								
1.		მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი	არ გააჩნია	15 კრედიტი (15სთ/360სთ)						პროფ. პ. იმნაძე
2.		პროფესორის ასისტენტობა	არ გააჩნია	5 კრედიტი (45სთ/80სთ)						პროფ. პ. იმნაძე
3.		აკადემიური წერა ბიომედიცინაში	არ გააჩნია	5 კრედიტი (20სთ/105სთ)						პროფ. ზ. კოკაია
4.		პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	არ გააჩნია	5 კრედიტი (20სთ/105სთ)						პროფ. ზ. კოკაია
5.		სწავლების თანამედროვე მეთოდები	არ გააჩნია	5 კრედიტი (60სთ/65სთ)						ასოც. პროფ. ე. ღვინერია
6.		კვლევის მეთოდოლოგია	არ გააჩნია	5 კრედიტი (25სთ/100სთ)						პროფ. დ. კორძაია
			<b>სულ</b>	40 კრედიტი						
		<b>სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები (სულ 20 ECTS კრედიტი)</b>								
7.		სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის	არ გააჩნია	5 კრედიტი (60სთ/65სთ)						პროფ. პ. იმნაძე, მედ. დოქტ. გ. ლომიძე
8.		კლინიკური კვლევის დიზაინი	არ გააჩნია	10 კრედიტი (60სთ/190სთ)						მედ. დოქტ. გ. ლომიძე
9.		მეცნიერების მენეჯმენტი	არ გააჩნია	5 კრედიტი (45სთ/80სთ)						პროფ. გ. ღვედაშვილი
10.		გლობალური ჯანდაცვა	არ გააჩნია	5 კრედიტი (32სთ/93სთ)						ასოც. პროფ. თ. ვერულავა
11.		საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების პრინციპები	არ გააჩნია	10 კრედიტი (30სთ/220სთ)						პროფ. ნ. ჩიხლაძე
		<b>კვლევითი კომპონენტი</b>								სამეცნიერო ხელმძღვანელები (იხ. დანართი 5)
1.		I სამეცნიერო-კვლევითი პროექტი								
2.		II სამეცნიერო-კვლევითი პროექტი								
3.		სადისერტაციო ნაშრომი								



პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა \_\_\_\_\_

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_  
ფაკულტეტის ბეჭედი

